დაუსრულებელი სეპარაცია:

მშობლების მიგრაციის საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალური ეფექტები საქართველოში დარჩენილ ახალგაზრდებზე

ნინო ჯღარკავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჯღარკავა: _____

თარიღი: __19.06.2025__

აბსტრაქტი

ამ კვლევის მიზანია შეისწავლოს მშობლების მიგრაციით გამოწვეული ბავშვობის გამოცდილების გავლენა აკადემიურ და პროფესიულ წარმატებაზე საქართველოში, 249 მონაწილის (18-35 წლის) შერჩევაზე, რომლებიც დაყოფილნი არიან სამ ჯგუფად: მიგრანტი მშობლის შვილები, შვილები, რომელთაც გარდაცვლილი მშობელი ჰყავთ, და ბავშვები, რომლებიც ორივე მშობელთან ერთად იზრდებოდნენ. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი და გაანალიზებული ცვლადებია: მშობლების სტატუსი, ბავშვისა და მშობლის სქესი, მედეგობა, აღქმული სოციალური მხარდაჭერა და გამკლავების სტრატეგიები.

კვლევამ დაადგინა, რომ მშობლის ემიგრაციასა და გარდაცვალებას ბავშვობაში გავლენა აქვს ზრდასრულობაში მედეგობასა და აკადემიურ–კარიერულ შედეგებზე: მიგრანტი მშობლის შვილებს მაღალი შინაგანი მედეგობა აქვთ, მაგრამ დაბალი აღქმული სოციალური მხარდაჭერა, გარდაცვლილი მშობლის შვილებს კი მნიშვნელოვნად დაბალი მედეგობა; შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური მხარდაჭერა ყველაზე ძლიერ პროგნოზირებს აკადემიურ წარმატებას, ხოლო გამკლავების სტრატეგიები მედიატორის ფუნქციას არ ასრულებენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობლის ემიგრაცია, მშობლის გარდაცვალება, მედეგობა, აღქმული სოციალური მხარდაჭერა, გამკლავების სტრატეგიები, აკადემიური მიღწევები, კარიერული შედეგები, ზრდასრულები (18–35 წლის).

Abstract

The aim of this study is to examine the impact of childhood experiences related to parental migration on academic and professional success in Georgia, using a sample of 249 participants aged 18-35, divided into three groups: children of migrant parents, children who have lost a parent, and children raised with both parents. The study employed a quantitative research method and analyzed the following variables: parental status, gender of the child and the parent, resilience, perceived social support, and coping strategies.

The study found that parental migration and death in childhood affect adult resilience and academic-career outcomes: children of migrant parents exhibit high internal resilience but low perceived social support, whereas those who lost a parent show significantly reduced resilience. The results showed that social support is the strongest predictor of academic success, while coping strategies did not serve as mediators.

Key Words: Parental migration, Parental death, Resilience, Perceived social support, Coping strategies, Academic achievement, Career outcomes, Georgian adults.

მადლობა

მადლობას ვუხდი ყველა მონაწილეს, ვინც დროულად გამოხატა მზადყოფნა ჩართულიყო კვლევაში, შეავსო კითხვარი და გულწრფელად გააზიარა საკუთარი გამოცდილება. მათი მონაწილეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს კვლევის მიზნების მიღწევისა და სიღრმისეული ანალიზის უზრუნველყოფისათვის.

განსაკუთრებული მადლობას ვუხდი აღნიშნული კვლევის ხელმძღვანელს - პროფესორ თინათინ ჭინჭარაულს, მისი პროფესიონალური ხელმძღვანელობის, ფასდაუდებელი მხარდაჭერისა და კვლევის თითოეული ეტაპისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის.